

სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები

ახალაძე ზეინაბ – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
შალამბერიძე მანანა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Questions of an Assessment of a Food Security

Akhaladze Zeinab – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Shalamberidze Manana – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Introduction and aim: Food security and reduce poverty in any country is essential, therefore, the issue is urgent, the country and the world and the global level. Food policy is especially relevant in the relatively less developed countries in which the developing food policy and regulation and are in need of improvement.

Food security problems in a country heavily dependent on the production potential of the agricultural sector, the volume of attracted investments, within the context of. Food usaprtsatanado socio- efficient operation of the joint, it will only record while doing so during the monitoring of sustainable agricultural development is of great importance to the evaluation criteria. economic circumstances; As for the rational use of natural resources and food security policies and the Food and Agriculture Organization has developed a system of indicators, which is the key to accept our reality; But there are some peculiarities to be considered in our opinion, it is necessary to get the real picture. The present article aims to study the issue of food security assessment.

Research methodology: Research Methodology: The methodological basis for the food security of the Georgian and foreign literature, including scientific papers, publications, studies conducted by international organizations, etc.

Results and implications: Georgia has been the link between economic growth and food security, was selected as the main statistical data, which are the most comprehensively reflect the problem; Food Security to assess the economic analysis was carried out. G were analyzed in the macroeconomics important components that affect the country's food security situation.

Food safety monitoring is recommended to be used for three main economic indicators, such as food availability, food consumption and food security. Appropriate statistical methods were estimated for each of them and to determine their significance for the country's food security.

Conclusion: Achieving Food Security in Georgia in terms of economic growth is possible. When we talk about the composition of food consumption and food quality. International regulations, the harmonization of food safety and security for the country's food policy should be one of the priority tasks. It is desirable to pay more attention to internal and external economic factors as a review, including a particularly noteworthy, defining indicators of food security, food security, food availability and food consumption. Their study, analysis and impact on the country's food security situation in the state of food security policy and regulation must become a key priority.

Keywords: food safety, monitoring, indicator, rate, analysis, food policy, economic factors

მესავალი და მიზანი: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის არსებითად მნიშვნელოვანია, ამიტომაც მოცემული საკითხი აქტუალურია, როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიო და გლობალურ დონეზე. სასურსათო პოლიტიკა განსაკუთრებით აქტუალური შედარებით ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებშია, რომლებიც განვითარების გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან და სასურსათო პოლიტიკისა და რეგულირების სრულყოფას საჭიროებენ.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის საწარმოო პოტენციალზე აგრარულ სექტორში, მოზიდული ინვესტიციების მოცულობაზე, სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე; ხოლო, რაც შეეხება ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებასა და სასურსათო

უსაფრთხოების პოლიტიკის ერთობლივად და ეფექტიანად წარმართვას, იგი მხოლოდ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ფარგლებშია შესაძლებელი.

სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის დროს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმებს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ იქნა მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ძირითადად მისაღებია ჩვენი ქვეყნის რეალობისათვის; მაგრამ არსებობს გარკვეული თავისებურებებიც, რომელთა გათვალისწინებაც ჩვენი აზრით აუცილებელია ქვეყანაში არსებული რეალური სურათის მისაღებად. სწორედ სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხის შესწავლა წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, გამოცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და ა.შ.

შედეგები და გამოყენება: შეფასებულ იქნა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების კავშირი ეკონომიკურ ზრდასთან, შერჩეულ იქნა მთავარი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც პრობლემას ყველაზე სრულყოფილად ასახავენ; სასურსათო უსაფრთხოების შესაფასებლად ჩატარდა შესაბამისი ეკონომიკური ანალიზი. გაანალიზებულ იქნა მაკროეკონომიკის ის მნიშვნელოვანი კომპონენტები, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

დასკვნა: საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას სამი მთავარი ეკონომიკური ინდიკატორი, როგორცაა სურსათის ხელმისაწვდომობა, სურსათის მოხმარება და სურსათის უზრუნველყოფა. შესაბამისი სტატისტიკური მეთოდებით გამოანგარიშებულ იქნა თითოეული მათგანი და დადგინდა მათი მნიშვნელობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, მონიტორინგი, ინდიკატორი, შეფასება, ანალიზი, სასურსათო პოლიტიკა, ეკონომიკური ფაქტორები

სასურსათო უსაფრთხოება არის სახელმწიფო პოლიტიკის მიდგომების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ ფასებში ჯანსაღი და დივერსიფიცირებული საკვების არსებობას ქვეყანაში. ხშირად, სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების დონეზეც კი განიხილება, იმ კუთხით, რომ თუ პოლიტიკის ჩარჩო არ ქმნის ხელსაყრელ გარემო პირობებს, რომ ქვეყანას ჰქონდეს სასურსათო უსაფრთხოება, მისი ეროვნული უსაფრთხოებაც საფრთხის ქვეშ დგება.

სასურსათო უსაფრთხოება პირველ რიგში არის პოლიტიკური ნება და წარმოადგენს თანმიმდევრულ და ერთმანეთის შემავსებელი პროგრამების ერთობლიობას, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი საკვებით სტაბილური მომარაგება. სწორედ ამიტომ აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმარება, რომელიც მოსახლეობას აარიდებს სასურსათო დეფიციტით გამოწვეულ შოკებს.

სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ნეგატიური სოციალური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფო ვალდებულია დროულად განსაზღვროს საფრთხე და გააკეთოს ყველაფერი მისი აღმოფხვრისათვის. მაგრამ, სურსათის უზრუნველყოფის, ხელმისაწვდომობისა და მოხმარების მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება შეუძლებელია სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ინდიკატორების გარეშე. როგორც წესი, სასურსათო უსაფრთხოების შეფასება ძირითადად ხორციელდება მაკროეკონომიკურ დონეზე, თუმცა, მისი უზრუნველყოფის ფაქტორები და პირობები უმეტესად ეკონომიკის რეგიონალურ დონეზე იქმნება.

ეს საკითხი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და უწყებათშორისი ორგანოების ყურადღების ცენტრში იმყოფება. იმ ორგანიზაციებისა, რომელთა მუდმივმოქმედი წევრი სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც არის. ამ ორგანიზაციებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია FAO - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, რომელმაც სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიზნით ჩამოაყალიბა მაჩვენებელთა სისტემა.

გამომდინარე იქედან, რომ სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს სამ ასპექტს: რაოდენობრივს, ხარისხობრივს და სოციალურ-ეკონომიკურს, შესაბამისად, მისი შეფასებაც უნდა განხორციელდეს ამ ასპექტების ჩარჩოებში. პირველი ორიენტირებულია სურსათის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაზე, მეორე – მოწოდებულია მოსახლეობის უზრუნველყოფისკენ არა უბრალოდ სურსათით, არამედ უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათით. მესამე ასპექტი კი გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას იმ დონემდე, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობას.

FAO - ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სპექტრი საკმაოდ ფართოა და შესაბამისად იძლევა სასურსათო უსაფრთხოების სრული და მრავალმხრივი მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა. ეს მაჩვენებლებია მაგალითისთვის: ქვეყნის იმპორტო-დამოკიდებულება; პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ღირებულებით გამოხატულებაში; სარკინიგზო და მყარი საფარის მქონე საავტომობილო გზების სიმჭიდროვე ქვეყანაში; შიმშილის ინდექსი; იმ ბავშვთა წილი მოსახლეობაში, რომლებიც ჩამორჩებიან ზრდაში; აკლიათ A ვიტამინი და ა.შ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ FAO - ს მიერ შემუშავებული მაჩვენებლებიდან ყველას გამოყენება ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის მიზნით არ არის მიზანშეწონილი. მაგალითისთვის, სარკინიგზო და მყარი საფარის მქონე საავტომობილო გზების სიმჭიდროვე ქვეყანაში. საქართველოში მოსახლეობა განსახლებული არ არის ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა. დამახასიათებელია, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 54% დაკავებულია მთებით, 33% მთისწინა ტერიტორიაა და მხოლოდ 13% შეადგენს დაბლობს. შესაბამისად, ალბათ არ არის გამართლებული განისაზღვროს გზების სიმჭიდროვე ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე სურსათზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის მიზნით.

მიზანშეწონილია, რომ FAO - ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემა მიღებულ იქნას საფუძვლად, ხოლო მის ბაზაზე შემუშავდეს მაჩვენებელთა ეროვნული სისტემა, ისეთი რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჩვენი ქვეყნის თავისებურებები. დღევანდელი მონაცემებით, განისაზღვრულია ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნისათვის და რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ესენია: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი. ამასთანავე განისაზღვრება სასურსათო დამოუკიდებლობის მაჩვენებლებიც, კერძოდ იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობის შეფარდებით მათ სასაქონლო რესურსებთან (როგორც საკუთარ წარმოებულთან, ისე იმპორტირებულთან). ამასთანავე, ითვლება, რომ რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო უკეთესია.

ყველა სხვა პროდუქტებს შორის განსაკუთრებული აღინიშვნის ღირსია ხორბლი და ზოგადად მარცვლეულები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოსთვის. ამ მიმართულებით ორი ძირითადი მახასიათებელია ცნობილი. პირველი გულისხმობს მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობას. თუ მარცვლეულის მსოფლიო მარაგი მთელი მოხმარების 17%-ზე ზევითაა (ანუ 60 დღის მარაგზე მეტი) საერთაშორისო სასურსათო მდგომარეობა უსაფრთხოდ ითვლება. მეორე მაჩვენებელი მარცვლეულის წარმოების მონაცემებს მოიცავს მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით. ზოგადად, ცალკეული ქვეყნების მიხედვით 1 სულზე იგი განსხვავებულია და 500-800 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. სამწუხაროდ, ხაზგასასმელია საქართველოს მაღალი დამოკიდებულება ხორბლისა და ფქვილის იმპორტზე, რომელიც ძირითადად რუსეთიდან, უკრაინიდან და ყაზახეთიდან შემოდის. ქვეყანა ადგილობრივი წარმოებით აკმაყოფილებს მხოლოდ ხორბალზე მოთხოვნის 8 %, რაც დაახლოებით შეადგენს 1 თვის მარაგს. აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში უმეტესად თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს თავისი პატარა ტერიტორიიდან გამომდინარე არ შეუძლია აბსოლუტურად დააკმაყოფილოს ხორბალზე მოთხოვნა.

სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები

ცხრილი #1

დასახელება (ათ.ტ)	2006 წელი				2014 წელი			
	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	თვითუზრუნველყოფა (%)	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	თვითუზრუნველყოფა (%)
ხორბალი	70	798	38	8	50	651	42	8
სიმინდი	217	42	28	94	347	57	27	92
კარტოფილი	169	24	1	88	216	31	3	89
ბოსტნეული	180	52	3	79	191	90	10	70
ყურძენი	162	6	24	112	225	1	66	141
ხორცი	84	32	0.9	73	54.8	78.8	1.1	41
მათ შორის:								
მსხვილფეხა რ/პ	33	8	0.1	81	19.6	8.8	0.2	70
ღორის	31	9	0.1	79	15.5	21.8	0.1	42
ცხვრის და თხის	8	0.1	0	99.1	4.1	1.2	0.1	79
ფრინველის	11	15	0.7	43	15.2	47.0	0.7	25
რძე და რძის პროდუქტები	606	136	2	82	656	71	8	91
კვერცხი (მლნ. ცალი)	249	45	-	85	549	26	3	96

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუ რამდენად სრულყოფილია ეს მაჩვენებელი. მისი გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება პროდუქციის ადგილობრივი წარმოების მოცულობა, მაგრამ არ ხდება ექსპორტის გათვალისწინება. რა სიდიდისაა არ უნდა იყოს ექსპორტის მოცულობა, თუნდაც ძალიან მცირე, მაინც მიიღება გარკვეული ცდომილება თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის გაანგარიშების დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ ის, რომ მსოფლიო ვითარდება შრომის საერთაშორისო დანაწილების მიმართულებით, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. ამიტომ არის თუ არა მიზანშეწონილი, რომ ვიზრუნოთ ცალკეული პროდუქტის თვითუზრუნველყოფაზე ყოველ ქვეყნაში. მთელი რიგი პროდუქტების წარმოება შესაძლებელია არაკონკურენტუნარიანი გახდეს ფასების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი მწარმოებელი უნდა დავიცვათ საბაჟო ტარიფებით, მომხმარებელი კი იძულებული იქნება შეიძინოს ადგილობრივი, ძვირი პროდუქცია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა სასურსათო დამოუკიდებლობის დონე განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\text{სასურსათო დამოუკიდებლობა} = (\text{წარმოების მოცულობა} + \text{მარაგები/ მოხმარება}) \times 100$$

მარაგების ქვეშ იგულისხმება მისი ცვლილება, კერძოდ (მარაგებს წლის დასაწყისში-მარაგები წლის ბოლოს), ხოლო მოხმარება გულისხმობს როგორც პირადს, ასევე საწარმოოს.

სასურსათო უსაფრთხოება მხოლოდ საკვების ფიზიკურ მოხმარებას არ გულისხმობს. სასურსათო უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია პროდუქციის ხარისხი, დაბალანსებული

ენერგეტიკული ღირებულება და ორგანიზმის ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი მიკროელემენტების არსებობა. ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში – 350 გრამს, ხორცი – 200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი – 960 გრამს, კარტოფილი – 170 გრამს, ბოსტნეული – 370 გრამს, ხილი – 210 გრამს, თევზი – 50 გრამს, ცხიმი – 30 გრამს, შაქარი – 100 გრამს. ეს ნორმები ემყარება საერთაშორისო ნორმებს და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის 70 კგ, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისათვის (იგივეა 60 კგ წონის ქალისათვის) და შეადგენს 2800 კკალ დღეში. ეს მონაცემები მართალია პერიოდულად იცვლება ასაკის, წონის, გეოგრაფიული გარემოს და სხვა ფაქტორები სგავლენით, მაგრამ არა არსებითად.

დღეს საკვების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ძალზედ უხეშადაა დარღვეული. განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2-3-ჯერ), ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის კი – 1%-ს. საყურადღებოა პურისა და პურპროდუქტების (ბურღულეულის ჩათვლით) მოხმარების მაღალი მაჩვენებელი: მაგალითად, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე მოდის. ეს გასაკვირი არცაა. გარდა იმისა, რომ ქართული ტრადიციული სამზარეულოს უმეტესი ნაწილი ცომეულისგან შედგება, დაბალი მსყიდველობისუნარიანობის გამო საქართველოს მოსახლეობა არადივერსიფიცირებულად, ანუ უმეტესწილად პურპროდუქტებით იკვებება. ამიტომ, საქართველოში საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე (განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 15% არ აღემატება) მოდის. ასეთი დისბალანსი საკვებ რაციონში ბუნებრივია, პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებას და სავალალო შედეგებს იწვევს. ეს საგანგაშო სტატისტიკა, რა თქმა უნდა, ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება მომავალი ათწლეულების განმავლობაში, რაც გამოხატული იქნება სამუშაო ძალის არასათანადო განვითარებაში, ჯანმრთელობის ზოგადი ფონის გაუარესებაში, რაც პროპორციულად დააწვება ჯანდაცვის ხარჯებს.

სასურსათო უსაფრთხოების მესამე, უმნიშვნელოვანესი ასპექტი – ეკონომიკური ხელმისაწვდომობა გულისხმობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას იმ დონემდე, როდესაც სურსათზე ხელმისაწვდომობა რეალურად არის უზრუნველყოფილი.

მოსახლეობის სასურსათო ხარჯები

ცხრილი #2

წელი	2006	2008	2009	2012	2013	2014
მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (%)	56.7	55.5	51.9	47.4	45.3	44.4

უკანასკნელი მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ თავისი შემოსავლების ნახევარზე მეტს (44.4 %) სურსათზე ხარჯავს, რაც განვითარებულ ქვეყნებში 10-15 % ფარგლებში მერყეობს. ამ გარემოებას კიდევ უფრო ამძაფრებს, ის რომ საქართველოში მოხმარებული სურსათის 70% იმპორტირებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2014 წლის აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით,

საქართველომ სურსათის შესამენად 1.1 მილიარდი აშშ დოლარი გადაიხადა. აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო საგანგაშო ხდება დღესდღეობით არსებული სავალუტო კრიზისისა და ლარის გაუფასურების ფონზე. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი დღეს არსებული ლარის კურსის მიხედვით (1 დოლარი = 2.38 ლარს) თითქმის სახელმწიფო ბიუჯეტის ადმინისტრაციული ხარჯებზე მეტია (2014 წლის სახელმწიფო ადმინისტრაციული ბიუჯეტი – 2,1 მლრდ ლარი) – ანუ ჯამში იმ თანხის, რასაც თითოეული საქართველოს მოქალაქე ბიუჯეტში იხდის სახელმწიფო ბიუროკრატის შესანახად. ეს ტენდენცია უდაოდ უარყოფითად აისახება საქართველოს არა მარტო სასურსათო უსაფრთხოებაზე, არამედ ზოგადად მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე. უარყოფითი სასურსათო სავაჭრო ბალანსის გარდა, საქართველოს ზოგადი სავაჭრო ბალანსიც უარყოფითია და ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება იმპორტზეა დამოკიდებული.

მაშასადამე, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის და პირველ რიგში სურსათზე სხვადასხვა შემოსავლების მქონე მოსახლეობის ეკონომიკური ხელმისაწვდომობის ოპერატიული მონიტორინგი მეტად აქტუალურია. საჭიროა შემუშავებულ იქნას მონიტორინგის და მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია. არსებული მიდგომები საჭიროებს სერიოზულ კორექტირებას საინფორმაციო ბაზის, მაჩვენებლების მოპოვების, ანალიზის ხასიათისა და სხვა საკითხებში. აუცილებელია მომზადდეს ღონისძიებები ნეგატიური სოციალური მოვლენების წარმოქმნის რისკების თავიდან ასაცილებლად.

ლიტერატურა:

1. პ. კოლუაშვილი – საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი. „კოლორი“ 2004 წ.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.